ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება

თბილისი **-------- 2022 წელი**

ერთი მხრივ, ---------- (შემდგომში „მზღვეველი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: ----------) წარმოდგენილი **გენერალური დირექტორის,** ---------- მიერ და მეორე მხრივ, **შპს „SmartPharm“** (შემდგომში „დამზღვევი“, საიდენტიფიკაციო ნომერ :404896715), წარმოდგენილი დირექტორის, **თეა მგალობლიშვილის** მიერ (შემდგომში ორივე ერთად „მხარეებად“ მოხსენიებულნი, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“), ვდებთ წინამდებარე ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ტერმინის განმარტება:**

დაზღვევის ხელშეკრულება - წინამდებარე ჯანმრთელობის **დაზღვევის ხელშეკრულებით** და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას და ფორმდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის;

2. **ხელშეკრულების საგანი:**

2.1 წინამდებარე **დაზღვევის ხელშეკრულება** და მისი დანართები არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა **მზღვეველს, დამზღვევს და დაზღვეულ(ებ)ს** შორის **დაზღვევის ხელშეკრულებით** და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.2 წინამდებარე **დაზღვევის ხელშეკრულებით** და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **მზღვეველი** ვალდებულია, შესაბამისი **სადაზღვევო პრემიის** მიღების სანაცვლოდ, **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას უზრუნველყოს **დაზღვეული პირ(ებ)ისთვის დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

3. **დაზღვევის ხელშეკრულების კონკრეტული პირობები:**

3.1 **ხელშეკრულების მოქმედების ვადა (საერთო სადაზღვევო პერიოდი) -** დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის ---------- და მოქმედებს ---------- საათამდე;

3.2 **ოჯახის წევრ(ებ)ი (დაზღვევას დაქვემდებარებული პირ(ებ)ი) -** თანამშრომლის მეუღლე, შვილები/გერები;

3.3 **სამედიცინო დაწესებულება -** საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს/გააჩნია სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. აგრეთვე, საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის მიზნებისათვის - საზღვარგარეთ მოქმედი სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;

3.4 **ტერიტორიული ლიმიტი (სადაზღვევო დაფარვის არეალი) -** ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვებისათვის - საქართველოს ტერიტორია (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა); საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის შემთხვევაში - მსოფლიო;

დანართი #1 - დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;
დანართი #2 - ანაზღაურების გაცემის პირობები და ბარათის ტიპები;
დანართი #3 - ინფორმაცია დაზღვეულების, სადაზღვევო პრემიის ოდენობისა და ბარათის ტიპის შესახებ;
დანართი #4 - სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა და მისი გადახდის წესი;
დანართი #5 - მზღვეველის კონტრაქტორი/პროვაიდერი დაწესებულებების სია;
დანართი #6 - თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე;

4. **მხარეთა ხელმოწერები:**

მზღვეველი_____ დამზღვევი_____